სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

63464213937621

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210344426

რეგისტრაციის თარიღი

12.04.2021 წ

ნოტარიუსი: მეგი მაღალდაძე
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა N19
ტელეფონი: 2967042

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
მინდობილობის შესახებ

ორი ათას ოცდაერთი წლის თორმეტ აპრილს მე, მერი ბუბაშვილს საქართველოს ნოტარიუსს მეგი მაღალდაძის შემცვლელ პირს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #19, მომმართა **ქუვეითის სახელმწიფოს მოქალაქემ ბ-ნმა მოჰამად ჰ. მ. ა. ხადერმა**, რომელმაც წარმომიდგინა მისთვის ცნობილი არაბული ენის მცოდნე მთარგმნელი ქ-ნი ვენერა კოჭლამაზაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ **ბ-ნ მოჰამად ჰ. მ. ა. ხადერს**, როგორც **შპს „ელმულლა“-ს დირექტორს** სურს ორენოვანი [ქართულ-არაბული] მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბ-ნმა მოჰამად ჰ. მ. ა. ხადერმა** [დაბ: 08/09/1967წ. მისი განცხადებით მცხოვრები: ქ. თბილისი, ბერბუკის ქ. #51. პასპორტი 000266327; ეროვნული ნომერი: 128372799; გაც: 13/05/2019წ. მოქმედების ვადა: 12/05/2024წ.] და **ქ-ნმა ვენერა კოჭლამაზაშვილმა** [დაბ: 02.03.1989წ. რეგისტრირებული მისამართზე: დედოფლისწყარო, მთის ქუჩა #1; პ/ნ 14001019575; ბარათის ნომერი 13IC21267. მოქმედების ვადა: 08.10.2023წ.] მომმართეს.

მე აგრეთვე, შევამოწმე ბ-ნი **მოჰამად ჰ. მ. ა. ხადერის** უფლებამოსილება კერძოდ ის ფაქტი, რომ იგი ნამდვილად არის **შპს „ელმულლა“-ს დირექტორი**, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრიდან - იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის ფერდობის II, III და IV მ/რ-ის მიმდებარედ [ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ ნაკვეთი N40], ელექტრონული ფოსტა: mulla55201177@yahoo.com. საიდენტიფიკაციო კოდი: 405164441, სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19062678, 05/06/2019 12:00:08; მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 01/09/2016.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მთარგმნელი ჩემს მიერ გაფრთხილებული იქნა იმ პასუხიმგებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს არასწორ თარგმანს, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს არაბულ ენას და პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე. ქ-ნმა ვენერა კოჭლამაზაშვილმა წარმომიდგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი - ბაკალავრის დიპლომი B #004975, გაცემული: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

სანოტარო აქტის ყველა მონაწილე - მთარგმნელის ჩათვლით ჩემს მიერ გაფრთხილებული იქნა მთარგმნელობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. სანოტარო მოქმედების მონაწილე და მთარგმნელი ადასტურებენ მთარგმნელობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობას.

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე მინდობილობის ტექსტი. **ბ-ნ მოჰამად ჰ. მ. ა. ხადერს** წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი, რომელიც ქ-ნმა ვენერა კოჭლამაზაშვილმა უთარგმნა **ბ-ნ მოჰამად ჰ. მ. ა. ხადერს**. მან წაიკითხა, მოიწონა მინდობილობის ტექსტი და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით, პირადად მან და მის მიერ წარმოდგენილმა მთარგმნელმა მოაწერეს ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მე, **მოჰამად ჰ. მ. ა. ხადერმა** [პასპორტი 000266327], როგორც **შპს „ელმულლა“-ს** [ს/ნ405164441] **დირექტორმა** ამ მინდობილობით **ბ-ნ ავთანდილ ღოღობერიძეს** [დაბ:03.04.1974წ. რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიმიტრი ყიფიანის ქუჩა, N 29, ბინა 11; პ/ნ 01024001976;] მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება - იყოს წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ასევე ყველა საჯარო და/ან კერძო ინსტანციაში, იუსტიციის სახლში, თვითმმართველობის ორგანოებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების

განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, ქონების ლეგალიზაციის კომისიაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, გამგეობაში, საკრებულოში, მუნიციპალიტეტში, საკრებულოს მიწის ნაკვეთის ლეგალიზების კომისიაში, ნებისმიერი ქალაქის მერიაში, არქივებში, „ენერგო პრო ჯორჯია“-ში, გაზმომარაგების კომპანიებში, სს „თელასში“, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურ“-ში, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში. შეაგროვოს, ჩააბაროს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია. შეიტანოს განცხადება. გადაიხადოს გადასახადები. მოახდინოს ცვლილებების რეგისტრაცია. შეასწოროს ყოველგვარი ხარვეზი. უზრუნველყოს აზომვითი ნახაზების შედგენა. შეიტანოს და გამოიტანოს პროექტი. ცვლილება/კორექტირება შეიტანოს პროექტში და/ან მოახდინოს განაშენიანების რეგულირების გეგმაში კორექტირება/ცვლილება. უზრუნველყოს დასრულებული მშენებლობის/შენობის ექსპლუატაციაში მიღება და რეგისტრაცია, მიიღოს ნებისმიერი ნებართვა. აწარმოოს გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით ნებისმიერი მოქმედება, მოახდინოს მრიცხველების, მილების მონტაჟი, გადატანა, აბონენტად დარეგისტრირება. მოახდინოს უძრავი ქონების დაშენება, მიშენება, დემონტაჟი, სარემონტო სამუშაოების ჩატარება, სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, მიწის ნაკვეთების გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, კომუნიკაციის საშუალებებით უზრუნველყოფა, ლეგალიზაცია [პრივატიზაცია], დაკანონება, ფართების დაზუსტება, კორექტირება, შემოღობვა, დაკვალვა, რეგისტრაცია **შპს „ელმულლა“-ს** [ს/ნ405164441] სახელზე. ჩემს მაგივრად ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტებს, განცხადებებს, ხელშეკრულებებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია ქართულ-არაბულ ენაზე სამი თანაბარი ძალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუსის მეგი მაღალდაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი მხარეს. ქართულ და არაბულ ტექსტებს შორის განსხვავების არსებობისას უპირატესობა ენიჭება სანოტარო აქტის ქართულ ვერსიას.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები:

- **შპს „ელმულლა“-ს** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრიდან;
- **შპს „ელმულლა“-ს** წესდების ფოტო ასლი.

გადახდილია სანოტარო საზღაური: “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების [29.12.2011წ.] 31-ე მუხლის საფუძველზე 10.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 1.80 ლარი, ჯამში: 13.80 ლარი.

ხელმოწერა: _____

საქართველოს ნოტარიუსის
მეგი მაღალდაძის შემცვლელი პირი
მერი ბუბაშვილი